

## ევრობანკი საქართველოში გადახდისუნარობის სისტემის შეფასებას ინწყებს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ევრობანკი, EBRD) დაიწყო მისი ოპერირების იურისდიქციებში, მათ შორის საქართველოში, სანარმოთა რესტრუქტურირების მექანიზმების შეფასება. შეფასების განხორციელებას ხელმძღვანელობს ევრობანკის სამართლებრივი ტრანსფორმაციის გუნდი, რომელიც მხარს უჭერს ინსტიტუციურ რეფორმებს კომერციული სამართლის რამდენიმე დარგში, მათ შორის გადახდისუნარობის სფეროში. შეფასების განხორციელების პროცესში ინვესტორთა საბჭოს სამდივნო მჭიდროდ ითანამშრომლებს EBRD-ის სამართლებრივი ტრანსფორმაციის გუნდთან.

გადახდისუნარობის ზოგადი ამოცანაა სიცოცხლისუნარო ბიზნესების სწრაფი დასრულება და სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების გამოყვანა დროებითი ფინანსური სიძნელეებიდან. თუმცა, ბოლოდროინდელი გადახდისუნარობის რეფორმები, უფრო მეტად, მიმართულია მოვალის ადრეულ რესტრუქტურირებისა ან რეორგანიზაციისკენ, რათა თავიდან იქნას აცილებული სრულმასშტაბიანი გადახდისუნარობის საქმის წარმოება.

შეფასების ფარგლებში შესწავლილ იქნება ევრობანკის ოპერირების ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა, რათა გამოიკვეთოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. ასევე გათვალისწინებულ იქნება დაინტერსებული მხარეების და გადახდისუნარობის სისტემის მომხმარებელთა მოსაზრებები, იმისთვის რომ სათანადოდ შეფასდეს მისი ეფექტურობა.

<https://www.ebrd.com/news/2020/ebrd-launches-assessment-tool-to-help-mitigate-coronavirus-impact.html>